სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"

LEPL STATE MILITARY SCIENTIFIC TECHNICAL CENTER "DELTA"
191 Moon Gabriel Salos Avenue, Tbilisi 0144, Georgia
Tel: +995322714002, Email: info@delta.gov.ge

MOD 8 20 00784085

04/09/2020

სსიპ ,,ინსტიტუტი „ოპტიკა"-ს დირექტორს
ბატონ **დავით კაკულიას**

სსიპ ,,სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის
ინსტიტუტის'' დირექტორს
ბატონ **გურამ ბოკუჩავას**

სსიპ ,,გრიგოლ წულუკიძის სამთო
ინსტიტუტის'' დირექტორს
ბატონ **ნიკოლოზ ჩიხრაძე**

სსიპ ,,მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტის''
დირექტორს ბატონ **ამირან ბიბილაშვილს**

სსიპ ,,რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის''
დირექტორს ბატონონ **თამაზ ნატრიაშვილს**

სსიპ ,,ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და
მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის'' დირექტორს
ბატონ **გიორგი თავაძეს**

ქვემდებარეობით გეგზავნებათ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების მეთაურის გენერალ-მაიორ გიორგი მათიაშვილის 2020 წლის 03 თებერვლის NMOD 6 20 00779719 შეტყობინება.

ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური
ცენტრი „დელტა" / ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის უფროსი
მაია უსანეთაშვილი

სამთო ინსტიტუტი
08. 09 2020 წ.
N 817

MOD 6 20 00779719

03/09/2020

შეტყობინება

- გენერალურ შტაბს;
- დასავლეთის სარდლობას;
- აღმოსავლეთის სარდლობას;
- ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობას;
- ეროვნულ გვარდიას;
- სპეციალური ოპერაციების ძალებს;
- ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობას;
- წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობას;
- სამედიცინო დეპარტამენტს;
- სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს;
- სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტს;
- კავშირგაბმულობის ცენტრს;
- სსიპ-გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალს;
- სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას;
- სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმს;
- სსიპ სახელმწიფო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტა"-ს;
- სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს;
- სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას.

ზოლო პერიოდში საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-Cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების გავრცელების მატებასთან დაკავშირებით გევალებათ, გაამკაცროთ ქვეყანაში არსებული რეგულაციების, საქართველოს თავდაცვის მინისტრის და თავდაცვის ძალების მეთაურის ბრძანებების შესრულების კონტროლი თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი პირადი შემადგენლობის მიმართ:

1. საკონტროლო გამშვებ პუნქტებში თერმოსკრინინგი.
2. შენობების (ყაზარმების, სასწავლო სივრცეების, სპორტული დარბაზების და ა.შ) შესასვლელებთან დეზობარიერების და ხელის სადეზინფექციო დისპენსერების განთავსება, რომელიც რეგულარულად უნდა განახლდეს დეზინფექტანტით.
3. თვალსაჩინო ადგილას COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციების (პოსტერები) განთავსება.
2. პირადი შემადგენლობის მიერ აუცილებელი სოციალური დისტანციის დაცვა (არანაკლებ 2 მ).
3. დახურულ საყოფაცხოვრებო სივრცეებში (საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში) მუდმივი ბუნებრივი ან/და ხელოვნური ვენტილაციის უზრუნველყოფა.
4. დახურულ საჯარო სივრცეებში პირბადის ტარების აუცილებლობა.

5. ხელსაბანების ცხელი წყლით, ხელის დასაბანი და გასამშრალებელი ჰიგიენური საშუალებებით, ნარჩენებისთვის განკუთვნილი დახურული კონტეინერებით უზრუნველყოფა, რომელიც დროულად დაიცლება და დეზინფიცირდება.
6. საცხოვრებელი სათავსოების მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სველი წესით რეცხვა და სადეზინფექციო ხსნარით ხშირად დამუშავება.
7. პირადმა შემადგენლობამ მწვავე რესპირატორული ინფექციისათვის დამახასიათებელი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში აცნობოს უფროსს/ ხელმძღვანელს ან/და სამედიცინო სამსახურს.
8. პირადმა შემადგენლობამ COVID-19 დადასტურებულთან პირდაპირი ან ირიბი კონტაქტის არსებობის შემთხვევა აუცილებლად აცნობოს უშუალო უფროსს/ხელმძღვანელს ან/და სამედიცინო სამსახურს.
9. კონტაქტირებული პირების გადაყვანა თვითიზოლაციაში 12 დღის განმავლობაში და თვითიზოლაციის დასრულების შემდეგ პჯრ ტესტირების უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მათი სამსახურში გამოძახება.
10. ეპიდაფეთქების ჯერიდან დაბრუნებული პ/შ გადაყვანილ იქნას თვითიზოლაციაში 12 დღის განმავლობაში და თვითიზოლაციის დასრულების შემდეგ პჯრ ტესტირების უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მოხდეს მისი სამსახურში გამოძახება.
11. შვებულებაში გასაშვებ პ/შ ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი და მიეცეს რეკომენდაცია საეჭვო და რისკის შემცველ ზონაში მოგზაურობა/გადაადგილების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი

სამსახურეობრივი ბარათი № OFL/-2020-09-07-7501

ქ.თბილისი

2020-09-07 07:31:56

გიგზავნით სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს ადმინისტრაციის უფროსის მაია უსანეთაშვილის 2020 წლის 04 სექტემბრის #MOD 8 20 00784085 წერილს.
მიბმული ფაილი: 1 (ერთი) ფურცელი.
დანართი: 1 (ერთი) ფაილი.